პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 108 (10502) | ხუთშაბათი, 10 მაისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

სიმინდის მაღალი მოსავლისათვის

სიმინდი დიდი შესაძლებლობის, უხვმოსავლიანი კულტურაა. ამიტომ არის, რომ ახლა სიმინდის ნათესების გადიდება და უხვი მოსავლის მოყვანა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ყველა მშრომელის ყოველდღიურ საზრუნავად არის გადაქცეული.

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, შეუპოვრად იბრძვიან იმისათვის, რომ 1956 წელი სოფლის მეურნეობაში ახალი მძლავრი აღმავლობის წელიწადი გახადონ.

საგაზაფხულო თესვა ერთ-ერთი პასუხსაგები ეტაპია მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. თავის დროზე და მაღალხარისხოვნად თესვა იმას ნიშნავს, რომ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ უხვი მოსავლის მიღებას. ჩვენი კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები შეიარაღებული არიან პირველხარისხოვანი მძლავრი ტექნიკით, ჰყავთ შესანშნავი კადრები. მთავარია საქმის სწორი ორგანიზაცია, ტექნიკისა და შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენება. საგაზაფხულო თესვის წარმატებას ახლა შრომის სწორი ორგანიზაცია წყვეტს. წელს გაზაფხულის დაგვიანებით დადგომის გამო თესვის ვადები უაღრესად შემჭიდროვდა. ამიტომ არათუ თვითეული დღის, არამედ თვითეული საათის უნარიანად გამოყენებას ამჟამად კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ მტს-ების სატრაქტორო და კოლმეურნეობათა მემინდვრეობის ბრიგადებში შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად შესაძლებელია სიმინდის თესვის მოკლე ვადებში დამთავრება. ამის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან თელავის, ყვარლის, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობები, რომლებმაც მექანიზატორთა ენერგიული დახმარებით და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად 1 მაისისათვის შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმები.

საერთოდ რესპუბლიკაში კი სიმინდის თესვა საგრძნობლად ჩამორჩა. 5 მაისისათვის კოლმეურნეობებში დათესილი იყო 141.103 ჰექტარი სიმინდი, გეგმა შესრულებულია 51,5 პროცენტით. მთელ რიგ რაიონებში ვხედავთ ტექნიკის მოცდენას, თესვის აგროტექნიკური ვადების უხეშად დარღვევას, არაორგანიზებულობას მინდვრის სამუშაოებში. განა შესაწყნარებელია, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1 მაისისათვის სიმინდის თესვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 10,1 პროცენტით? ცნობილია, რომ გასულ წელს აბაშის, ცხაკაიას, ზესტაფონის რაიონებმა თესვისა და ნათესების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევის შედეგად სიმინდის მცირე მოსავალი მიიღეს. ამ მწარე გაკვეთილიდან მათ ახლაც არ გამოჰყავთ სათანადო დასკვნები. თესვის ტემპი ძალიან დაბალია. სიმინდის თესვაში დიდად ჩამორჩნენ აგრეთვე ზუგდიდის, ხობის, სამტრედიის, კაჭრეთის და სხვა რაიონები. თუ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ზომები არ მიიღეს ამ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის, სიმინდის თესვის გეგმის შესრულება საფრთხეში აღმოჩნდება.

საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკამ ცხადყო, რომ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა დიდად უმსუბუქებს კოლმეურნეებს შრომას, იძლევა ნათესის მექანიზებულად დამუშავების საშუალებას და ადიდებს მოსავლიანობას. მიუხედავად ამისა, არიან მუშაკები, რომლებიც ამ პროგრესული ღონისძიების აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. მაგალითად, ქუთაისის რაიონში დათესილი 3.398 ჰექტარიდან კვადრატულ-ბუდობრივი წესით დაითესა მხოლოდ 428 ჰექტარი, ლანჩხუთის რაიონში კი 1.853 ჰექტარიდან 346 ჰექტარი. ასეთი ფაქტები სხვა რაიონებშიც არის. მოწინავე აგროტექნიკის გატარების მოწინავეთა რიგებში უნდა იყვნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. აგრონომები და ინჟინერ-მექანიზატორები მოწოდებული არიან მტკიცედ იბრძოლონ მაღალი აგროტექნიკის, მოსავლიანობის გადიდების პროგრესული ხერხების განსახორციელებლად.

საბჭოთა აგრონომიული მეცნიერებით და საკოლმეურნეო პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჰიბრიდული თესლით თესვა. ჰიბრიდი დაახლოებით 30 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე თესლის ჩვეულებრივი ჯიშები.

სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების გადიდებას ამ გაზაფხულიდანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. მიმდინარე წელს პირველი თაობის ჰიბრიდული თესლის წარმოება საქართველოს კოლმეურნეობებში აყვანილ იქნება 5.000 ცენტნერამდე, აქედან ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდისა — 1.866 ცენტნერამდე. წელს სიმინდის ჰიბრიდული თესლით კოლმეურნეობებში დაითესება 14.930 ჰექტარი. სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოებისათვის რესპუბლიკაში საერთოდ სპეციალურად გამოყოფილია მეთესლეობის 80 კოლმეურნეობა.

სიმინდის ჰიბრიდული თესლით თესვაზე გადასვლა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სიმინდის სასელექციო მუშაობის გაფაჩრით გაუმჯობესებას თავიანთი მზრუნველობა არ უნდა მოაკლონ, მთელი მუშაობა ისე უნდა წარმართონ, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია.

სიმინდის თესვის ფრონტზე წარმატებათა მოპოვება უნდა უზრუნველყოთ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით. პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლებურად, კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელონ სოფლად შეჯიბრებას. რაიონებმა, კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და ცალკეულმა ადამიანებმა სერიოზული ვალდებულებები იკისრეს სიმინდის მოსავლიანობის გასაადიდებლად. მუდამ გვახსოვდეს, რომ შეჯიბრება კამპანია კი არ არის, არამედ ადამიანთა ცოცხალი საქმეა, მძლავრი ძალაა, რომელიც წინ ეწევა სოციალისტური წარმოების განვითარებასა და სრულყოფას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საჭიროა გაძლიერდეს ადამიანებში თავიანთი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. პირობა დადე — შეასრულე იგი რაც უნდა მოხდეს.

სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართოთ მეექვსე ხუთწლედის პირველ გადამწყვეტ წელს — 1956 წელს — სიმინდის ბარაქიანი მოსავლის მოსაყვანად!

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იაპონიის მიწათმოქმედებისა და ჯუის მინისტრი ბ-ნი იჩირო კონო

1956 წლის 9 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იაპონიის მიწათმოქმედებისა და ტყის მინისტრი ბ-ნი იჩირო კონო და საუბარი ჰქონდა მასთან.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრი ა. ა. იშკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. ი. საბანაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. შალვა ილიას-ძე საბანაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1956 წ. 9 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონდრატე სოკრატის-ძე ციმაკურიძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1956 წ. 9 მაისი.

დეპეშა

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ა. ზაპოტოცკის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. შიროკის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ა. ნოვოტნის

ქალაქი პრაღა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენ და თქვენი სახით მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხს უთვლიან გულითად მოლოცვას ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მეთერთმეტე წლისთავის გამო.

1945 წლის 9 მაისს ახალი შესანიშნავი ფურცელი გადაიშალა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ისტორიაში. 11 წელიწადში, რამაც ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ განვლო, ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ჩეხოსლოვაკიის ხალხმა, აიღო რა ძალაუფლება თავის ხელში და აღადგინა რა მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობა, სახელოვანი გზა განვლო და ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას, რომელიც დიდად განვითარებული ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, სამართლიანად უკავია თავისი შესაფერისი ადგილი სოციალისტური ქვეყნების ძმურ თანამეგობრობაში. სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად ჩეხოსლოვაკიის ხალხი წარმატებით აწარმოებს ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის ნალხის შესანიშნავი წარმატებანი მოპოვებულია იმის შედეგად, რომ მას ხელმძღვანელობს ჩეხოსლოვაკიის სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც არის ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, ერთიანი ეროვნული ფრონტის სული, მარქსიზმ-ლენინიზმის განხორციელებისათვის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ერთგული მებრძოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას, მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას უსურვებენ შემდგომ წარმატებებს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის აყვავებისათვის, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

დაე ჰყვაოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების სამარადისო და ურღვევი მეგობრობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**	**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**
კ. ვოროშილოვი	**ნ. ბულგანინი**	**ნ. ხრუშჩოვი**

მოსკოვი, 1956 წლის 8 მაისი.

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია

8 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია სახელმწიფო კრების თავმჯდომარის შანდორ რონაის მეთაურობით, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციას ახლდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ფ. მიუნიხი.

საუბრის დასაწყისში კ. ე. ვოროშილოვი გულითადად მიესალმა დელეგაციის წევრებს. შემდეგ სტუმრებმა გაუზიარეს მას თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნისა და საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრების შესახებ.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ შ. რონაიმ მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცათ სწვეოდნენ საბჭოთა კავშირს, და დელეგაციის წევრთა და მთელი უნგრელი ხალხის სახელით მხურვალე მეგობრული სალამი გადასცა კ. ე. ვოროშილოვს.

ყველგან, სადაც ჩვენ ვიყავით — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში, კრასნოდარში, სოჭში, — განაცხადა შ. რონაიმ, — გულთბილი მეგობრული მიღება მოგვიწყეს. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თვითეულ ჩვენგანზე საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრებმა. დელეგაცია საბჭოთა კავშირიდან მიდის გამოცდილებითა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით გამდიდრებული.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ შ. გაშპარმა. მან თქვა, რომ დელეგაციის წევრთა უმრავლესობა პირველად როდი ჩამოდის საბჭოთა კავშირში, და ყოველთვის ჩამოდის აქ როგორც თავის სახლში. საბჭოთა ადამიანების სტუმართმოყვარეობა, განაცხადა მან, ჩვენთვის ახალი ამბავი როდი იყო. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რა გულწრფელად გვეპყრობა საბჭოთა ხალხი, მაგრამ ამ მიღებამ მაინც გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს, იმდენად გულითადი და მომხიბვლელი იყო იგი. ჩვენს მოგზაურობას საბჭოთა კავშირში, ყოველივე ამის გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობისა და საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრების შესახებ შთაბეჭდილებანი გამოთქვეს აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქიმიური და ენერგეტიკული მრეწველობის მინისტრმა ა. კიშმა, ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. პონგრაცმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარემ პ. ლოშონციმ, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მარიამ ნადმა, პროფესორმა ე. სადეცკი-კარდოშმა და მწერალმა ე. ურბანმა. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა ბევრი რამ კარგი ნახეს საბჭოთა ქალაქებში, სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, რა ყურადღებას იჩენენ საბჭოთა კავშირში მშრომელთა ინტერესებისადმი. კოლმეურნეობათა და საწარმოთა ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს დელეგაციის წევრები მეგობრულად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, ბჭობდნენ იმაზე, თუ რა გზით უმჯობესია აღმოიფხვრას ცალკეული ნაკლოვანებანი, თუ ასეთი სადმე შეამჩნიეს.

დელეგაციის წევრთა აზრი კარგად გამოთქვა მარიამ ნადმა. მან თქვა:

— მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენი დელეგაციის ყოფნა გასცდა უბრალო მეგობრული ვიზიტის ფარგლებს. ჩვენ აქ მივიღეთ ბევრი ძვირფასი გამოცდილება. ჩვენ უნდა მოვიფიქროთ ის, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ნათლად ვუამბოთ ყველაფერი ჩვენს ხალხს.

ჩვენ ანგარიში უნდა ჩავაბაროთ არა მარტო სახელმწიფო კრებას, არამედ ამასთანავე უნდა წავიდეთ ადგილებზე, რაც შეიძლება მეტ ადამიანს ვუამბოთ ის, რაც საბჭოთა კავშირში ვნახეთ.

საუბრის დასასრულს კ. ე. ვოროშილოვმა განაცხადა, რომ უნგრეთის სახალხო კრების დელეგაციის სტუმრობა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს საბჭოთა და უნგრელი ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს. კ. ე. ვოროშილოვმა სურვილი გამოთქვა, რომ ასეთ შეხვედრებს უფრო ხშირი ხასიათი ჰქონდეს, რაც ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა წარმატებას მშვიდობიან მშენებლობაში და ყველა მშრომელის საერთო ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

კ. ე. ვოროშილოვის გულითადი საუბარი უნგრეთის საპარლამენტო დელეგაციის წევრებთან საათნახევარს გაგრძელდა.

გამოეთხოვა რა სტუმრებს, კ. ე. ვოროშილოვმა სთხოვა დელეგაციის მეთაურსა და წევრებს ძმური სალამი გადასცენ მთელ უნგრელ ხალხს, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს მატიას რაკოშს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ანდრაშ ჰეგედიუშს. დელეგაციის წევრები ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ კ. ე. ვოროშილოვს.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. დ. ლევიჩკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საკდესი).

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია

9 მაისს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო სსრ კავშირში მყოფი დელეგაცია საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებიც მშვიდობისა და განიარაღებისათვის იბრძვიან.

დელეგაციას მეთაურობს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს [illegible] მარე ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერი. დელეგაციის [illegible] დიან სენატორი ანრი ტორესი, ეროვნული კრების დეპუტატი ეჟენ შარლ ერნიუ, საფრანგეთის კავშირის კრების წევრი ჟაკ მიტერანი, ქალაქ ლიონის მერის მოადგილე ლუი ვიენე, ქალაქ ავინიონის მერის მოადგილე ჟორჟ მონტაგარი, საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი ფერნან ვინი, კორეაზე დეპარტამენტის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე ელი რუბი და საფრანგეთის საზოგადო და კულტურული მოღვაწეები ანტუან ბერეჟე, ალენ გურდონი, მარკ ჟაკიე, ჟოზეფ ლელარჟი, ივ მენგი, როჟე პიგო, ივონა ჟორჟ პიკო და ედიტ რუბი.

საუბარს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, „პრავდის" მთავარი რედაქტორის მოადგილე გ. ა. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი" მ. ი. კოტოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. პ. ტერეშკინი.

საუბრის მსვლელობაში განიხილეს ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა, რომელთა მშვიდობიანი გადაჭრით დიდად დაინტერესებული არიან საფრანგეთისა და სსრ კავშირის ხალხები, აგრეთვე ფრანგი და საბჭოთა ხალხების მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საკითხები. ამასთან გამოირკვა შეხედულებათა ერთიანობა საუბარში აღძრულ ბევრ საკითხზე.

საუბარმა 3 საათამდე გასტანა და გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია

8 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით და რომელშიც შედიან: ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერი, ანრი ტორესი, ეჟენ შარლ ერნიუ, ლუი ვიენე, ელი რუბი, ჟაკ მიტერანი, მონტაგარი, ფერნან ვინი, მარკ ჟაკიე, ედიტ რუბი, ანტუან ბერეჟე, ივ მენგი, ალენ გურდონი, ჟოზეფ ლელარჟი, როჟე პიგო, ივონა ჟორჟ პიკო.

საუბარს დაესწრო მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ი. კოტოვი.

საუბარმა, რომელმაც ორ საათზე მეტ ხანს გასტანა, გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თბილისს ჩამოვიდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი

9 მაისს მოსკოვიდან საქართველოს დედაქალაქს ჩამოვიდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი, რესპუბლიკის საბჭოს წევრი პიერ კომენი.

თბილისის აეროდრომზე ფრანგ ჩამოსულ სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. სეხნაიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები მ. ი. კუპავა და მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. უ. ჯაში, რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები ი. ი. ჩხიკვიშვილი, გ. ს. ფირცხალავა, მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

12 საათია. თვითმფრინავი ძირს ეშვება. შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან ჩამოსულთ. ყვავილების თაიგულები მიართვეს მათ.

სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ვ. მჭედლიშვილმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი მიესალმა დელეგაციის წევრებს და მათი სახით საფრანგეთის სოციალისტ მშრომელებს, აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი ყურადღებით და ანტერესით ადევნებს თვალყურს ფრანგი ხალხის ცხოვრებას, რომელიც განთქმულია თავისი რევოლუციური წარსულით და რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურაში.

— დიდია ფრანგი ხალხის დამსახურება, — თქვა შემდეგ ამხ. მჭედლიშვილმა, — ხალხთა მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირში თქვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს საბჭოთა და ფრანგი ხალხების შემდგომ დაახლოებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პიერ კომენმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

— ძვირფასო ამხანაგებო, — თქვა მან, — ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სახელით მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი და მეგობრული მიღებისათვის. ჩვენ ჩამოვედით თქვენთან, თქვენს დედაქალაქში, მართალია, არა დიდი ხნით, რათა გავიცნოთ თქვენი ცხოვრება და საფრანგეთში წავიღოთ სრულიად ზუსტი და სწორი შთაბეჭდილებანი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობთ და მუშაობთ. მე მსურს, რომ ჩვენმა მისიამ ხელი შეუწყოს მშვიდობის ძალების გაძლიერებასა და ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრებთან

დღის მეორე ნახევარში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრები მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეკალინაძემ. საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები.

ვ. პ. მეკალინაძემ, რომელიც მეგობრულად მიესალმა დელეგაციის წევრებს, აღნიშნა, რომ მათ მიეცემათ სრული შესაძლებლობა დაწერილებით გაიცნონ ყველა საკითხი, რომლებიც მათ აინტერესებთ. მან სტუმრებს უამბო საქართველოს სახელმწიფო წყობილებაზე, რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებზე ეკონომიკასა და კულტურის განვითარებაში. დელეგაციის წევრებმა შეიტყეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა 900-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომ რესპუბლიკაში გაჩნდა მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, საავტომობილო და მრეწველობის სხვა ახალი დარგები, მთლიანი პროდუქციის გამოშვებამ 1955 წელს 1913 წლის დონეს 27-ჯერ გადააჭარბა. მათ უამბეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო ნეურნეობის განვითარების ფერსპექტივებზე მეექვსე ხუთწლედში.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა მრავალი კითხვა მისცეს. მათ აინტერესებდათ მოსახლეობის დასაქმება ნრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მრეწველობის ორგანიზაცია, საგადასახადო პოლიტიკა და სხვა საკითხები.

საუბარმა მეგობრულ ატმოსფეროში, სრული გულახდილობის ვითარებაში ჩაიარა.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პიერ კომენმა კმაყოფილება გამოთქვა საუბრის გამო. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ დარბაზობა გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფის პატივსაცემად

გუშინ, 9 მაისს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. კუპრაძემ დარბაზობა გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ვ. პ. მეკალინაძე, მ. დ. ჩუბინიძე, მ. პ. გიორგაძე, მ. ი. კუპავა, მ. მ. ლელაშვილი, ე. ა. სეხნაშვილი, ს. ს. როსტიაშვილი, ვ. გ. ქერკაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. კ. მაღრაძე, მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. კუპრაძემ და დელეგაციის მეთაურმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილემ გერმან მატერნმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფი საქართველოში

გუშინ, 9 მაისს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც საქართველოში იმყოფება და რომელსაც მეთაურობს სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილე გერმან მატერნი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ს. ს. როსტიაშვილისა და საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ი. ნ. ელენტის თანხლებით იყო თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში. სტუმრებმა დათვალიერეს ქარხნის საამქროები, გაიცნეს შამპანურის წარმოების ტექნოლოგია, აინტერესებდათ მუშების ყოფაცხოვრება.

დღის მეორე ნახევარში დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას, სადაც დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები.

შემდეგ

პარტიული ცხოვრება

შემოქმედებითად მოვაწყოთ პარტიის XX ყრილობის მასალების სწავლება

★ ★ ★

მორიგ მეცადინეობას სიხარულით მოელიან

რამდენიმე წელია პრაპაგანდისტულ მუშაობას ვეწევი. პროპაგანდისტობა ჩემი საყვარელი პროფესიაა და არა მგონია იყოს ამაზე უფრო კეთილშობილური და საპატიო საქმე, ვიდრე ის, რომ მასებს აცნობდე მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებს.

ამჟამად პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეს ვხელმძღვანელობ ქობულეთის რაიონის სოფელ ფიქვნარის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლამ, რასაც ყრილობის დამთავრებისთანავე შევუდექით, მეცადინეობა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა. ამ ისტორიულ დოკუმენტებს წრის თხუთმეტივე მსმენელი დიდი მონდომებით სწავლობს.

პროპაგანდა ქმედითი და დიდი სარგებლობის მომტანია მაშინ, თუ იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ცხოვრებასთან, ადგილობრივ საწარმოო საკითხებთან. ამიტომაც ძუდამ ვცდილობ მეცადინეობა მჭიდროდ დავუკავშირო ცხოვრებას, რასაც კიდეკაც ვღწევ, რადგან კარგად ვიცნობ კოლეეურნეობის ეკონომიკას, თვითეული ბრიგადის საქმიანობას, ყველა მსმენელის წარმატებებსა და მოთხოვნებს.

როდესაც მეცადინეობისას ვლაპარაკობდი სოფლის მეურნეობის დარგში ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებზე, და მათი განხორციელების გზებზე, ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა, ისევე როგორც მთელი სახალხო მეურნეობა, მტკიცე გეგმიანობაზეა დამყარებული.

კოლმეურნე ს. ფიქავაძემ განაცხადა: შარშან ფიქვნარელმა კოლმეურნეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 352 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 324 ათასი კილოგრამისა. წელს გეგმა უფრო გადიდდა, მაგრამ მას არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვნად გადაკაბადეთაც შეესრულებთ.

მსმენელებს განვუმარტე, რომ პარტია ამჟამად ახორციელებს მთელი სახალხო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამას მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საფუძველზე. მძლავრ მრეწველობასთან ერთად ჩვენ გვესაჭიროება ყოველმხრივ განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეუძლია აწარმოოს იმდენი სურსათი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, რამდენიც საჭიროა მოსახლეობის სრული უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს ყველა სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. შემდეგ მსმენელებს ვესაუბრე იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული კოლმეურნეობის, ბრიგადის, რგოლის ან კოლმეურნის თავდადებულ შრომას ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის. შარშან ფიქვნარის კოლმეურნეობას გეგმით თვითეულ საფურაეე ძროხაზე უნდა მიეღო 850 კილოგრამი რძე, მიიღო 1.049 კილოგრამი. წელს უფრო მეტია ნავარაუდევი. კოლმეურნეობა სასახელოდ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. წინათ ზოგიერთი მწველადის დაუდეგრობა აფერხებდა საქმეს. ცუდად მუშაობდა, მაგალითად, ახალგაზრდა მწველავი ა. ხელაძე. ჩვენს მეცადინეობაზე ამის შესახებ არაერთხელ გამოუთქვამს საყვედური ფერმის გამგეს ი. ცენტერაძეს. ამხანაგების დახმარებით ახლა ხელაძე ერთ-ერთი მოწინავე მუშაკი გახდა.

ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებიდან შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი, რომელიც ნათელყოფს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის. ჩვენს სოფელში ამ უკანასკნელ წლებში 100-მა კოლმეურნემ აიგო ახალი საცხოვრებელი სახლი. წრის მსმენელებს კარგად ახსოვთ, რომ ამჟამად შეძლებული კოლმეურნეები ჯ. კაკალაძე, ვ. მარტიროეკო, ნ. ციფიაძე წინათ მუდამ ღარიბად, ფაცხებში ცხოვრობდნენ. სოფელში აშენდა სკოლა, საავადმყოფო, ადმინისტრაციული სახლი და სხვ.

ასეთი ფაქტები ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრია და პროპაგანდისტის მიერ მათი გამოყენება მეცადინეობას უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის. ამიტომაც არის, რომ წრის მსმენელები მორიგ მეცადინეობას სიხარულით მოელიან. ჩვენთან მეცადინეობს უმეტესწილად გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევები არ არის.

პროპაგანდისტი ვ. მგელაძე.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხი რაიკომის ბიუროზე

პარტიის წულუკიძის რაიკომის ბიუროს გაანიხილა სოფელ ძეძილეთის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხი.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს ნუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. არის მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები, დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, მესამე მეოთხედში ცუდი ნიშნები ნიიღო მოსწავლეთა 20 პროცენტმა, სუსტად მიმდინარეობს მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, ხშირია გაკვეთილების გაცდენები.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სკოლის ნუშაობის გარდაქმნა ახალი გეგმებისა და პროგრამების მიხედვით. სკოლას არა აქვს სასწავლო სახელოსნო, ნაკლები ყურადღება ექცევა სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის მოვლა-დამუშავებას, საჭირო ღონისძიებანი არ ხორციელდება პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისათვის.

მოსწავლეთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონით აიხსნება მოსწავლეთა მიერ დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ხშირი შემთხვევები.

სასკოლო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ნ. გიორხელიძე) თითქმის არაფერს არ აკეთებს მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად რაიკომის ბიუროს დასახა საჭირო ღონისძიებანი.

პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით

კომუნისტები ამჟამად განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს. მრავალრიცხოვან წრეებსა და სემინარებში ამ ისტორიული დოკუმენტების ღრმად შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან. მე, როგორც სემინარის ხელმძღვანელი, ყოველთვის ვცდილობ, რომ სემინარის მეცადინეობაზე მსჯელობის დროს ყველა წამოჭრილი საკითხი უკავშირდებოდეს იმ ამოცანებს, რომლებიც გადასაწყვეტად დგას ჩვენი გამსხვილებული მრავალდარგოვანი კოლმეურნეობის წინაშე.

სემინარში გაერთიანებულია 25 მსმენელი. მათ შორის არიან ბრიგადირები, კოლმეურნეობის სპეციალისტები, მერგოლურები და რამდენიმე პედაგოგი. თუმცა განათლების ცენზის მხრივ მსმენელებში ერთგვარი სიჭრელეა, მაგრამ ყველა მსმენელის საზოგადოებრივი თვითგანვითარება ისე მაღალია, რომ ისინი ადვილად ძლევენ შესასწავლ თემებს, აქტიურად მონაწილეობენ მეცადინეობაზე გამართულ მსჯელობასა და საკითხების განხილვაში. სანამ პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლაზე გადავიდოდით, მანამდე ჩვენ ვსწავლობდით სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ძირითად საკითხებს. როგორც კი ყრილობის მასალების შესწავლა დავიწყეთ, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მსმენელთა აქტივობა მეცადინეობაზე, და არა მარტო მეცადინეობაზე. სასოლმეურნეო წარმოების ყველა უბნებზე კიდევ უფრო გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

პირველ მეცადინეობაზევე შესამჩნევი იყო ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლით მსმენელთა დაინტერესება. შესავალი საუბრის დროს ხაზგასმით აღვნიშნე, თუ როგორ გაიზარდა სამრეწველო წარმოების დონე საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. განვიხილეთ აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა. ამან მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

— ჩვენი ეპოქის მთავარი დამახასიათებელი ფაქტორი ის არის, — განაცხადა თავის გამოსვლაში სემინარის მსმენელმა, ბრიგადირმა ალ. ქებაძემ,— რომ სოციალიზმი გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და ახლა იგი მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

მორიგ მეცადინეობაზე სემინარის მსმენელი პედაგოგი ე. ბახბახაშვილი შეჩერდა სოციალიზმის ქვეყნების ურთიერთობაზე და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა ძირფესვიანად განსხვავდება იმ ურთიერთობისაგან, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებობს. ამჟამად საბჭოთა კავშირი დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს ეხმარება 391 საწარმოს და 90-ზე მეტი ცალკეული საამქროსა და დანადგარის მშენებლობაში.

— სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ძმური თანამშრომლობა, — განაცხადა თავის გამოსვლაში სემინარის მსმენელმა, მეგოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირმა ვლ. გერგიშვილმა, — ჩანს თვით ჩვენი რაიონის ცხოვრების მაგალითიდანაც. ყველა აქ დასწრეს კარგად ახსოვს, გლეხთა რამდენი დელეგაცია იყო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ჩვენი რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გასაცნობად.

სხვა მეცადინეობაზე, რომელზეც ლაპარაკი იყო სოფლის მეურნეობაზე, მსმენელებმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს ჩვენი კოლმეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ მდგომარეობაზე, წამოაყენეს საყურადღებო წინადადებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად. მაგალითად, აგრონომმა გ. გიორგაძემ აღნიშნა:

— პარტიის XX ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში მთელი სერიოზულობით არის დაყენებული მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების ამოცანა. ჩვენს კოლმეურნეობაში წლების მანძილზე ვერ მივაღწიეთ ხორბლისა და სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანას. ამის მიზეზი ის არის, რომ ზუსტად არ ვიცავთ მიწის დამუშავების აგროტექნიკის მოთხოვნებს, ნათესლების მოვლა-პატრონობას ჯერ კიდევ აკლია მზრუნველი ხელი, ნათესებში არ შეგვაქვს ორგანული და მინერალური სასუქები. პურეულის ნათესებს დიდ ზარალს აყენებენ მინდვრის მავნებლები — ბზუალა და მწვანეთვალა ბუზი. სოფლის მეურნეობაში ნომუშავე მეცნიერები ჯერ კიდევ ვალში არიან კოლმეურნე გლეხობის წინაშე. მათ უნდა შექმნან ეფექტიანი პრეპარატი ბზუალასა და მწვანეთვალა ბუზის საწინააღმდეგოდ.

ამბ. გიორგაძის შენიშვნები გაითვალისწინა კოლმეურნეობის გამგეობამ, როდესაც საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის პრაქტიკულ ღონისძიებებს ადგენდა. საგაზაფხულო კულტურებისათვის განკუთვნილ ფართობებში, რამდენადაც შესაძლებელი იყო, შეტანილ იქნა ორგანული სასუქები, ფართობები გაწმენდილ იქნა ქვა-ღორღისაგან, მოეწყო თესვისწინა კულტივაცია, აგროტექნიკურ ვადებში დაითესა მზესუმზირა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები, ინტენსიური ტემპით ჩატარდა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა.

ამავე მეცადინეობაზე მევენახეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირმა დ. მეგრელიშვილმა თქვა, რომ მექანიზაცია მემინდვრეობასთან შედარებით ძალიან ჩამორჩება მევენახეობაში. კოლმეურნეობას 224 ჰექტარი ვენახი აქვს, მაგრამ მისი დამუშავება ძველებურად, პრიმიტიული წესით წარმოებს. მტს-ის სატრაქტორო ბრიგადას, რომელიც ჩვენს კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას, თუმცა აქვს „კდ-35“ მარკის 2 ტრაქტორი, მაგრამ ისინი მემინდვრეობაშია გამოყენებული. გამგეობამ იმსჯელა ამ საკითხზე და მტს-ის წინაშე მთელი სერიოზულობით დააყენა ვენახებში მექანიზაციის გაფართოების საკითხი.

ასე, გავლილ მასალაზე სჯა-ბაასი ყოველთვის მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკას, ჩვენი კოლმეურნეობის ცხოვრებას. სემინარის მსმენელთა საგრძნობი ნაწილი მონდომებით მუშაობს თავის თავზე, ადგენს კონსპექტს. ყრილობის მასალების შესწავლაში იყენებს დამხმარე ლიტერატურას.

მსმენელი, რომელიც აქტივობას იჩენს მეცადინეობაზე, ღრმად სწავლობს ყრილობის გადაწყვეტილებებს და სხვა მასალებს, მოწინავეა თავის საწარმოო ბრიგადაშიც, საერთოდ საკოლმეურნეო შრომაში. მაგალითად, ბრიგადირები ლ. ლეშკაშელი, გ. ლეშკაშელი, ფ. მეგრელიშვილი, რომლებიც აქტიურად მეცადინეობენ და ღრმად სწავლობენ ყრილობის მასალებს, მოწინავენი არიან საკოლმეურნეო წარმოებაშიც. ამავე დროს ბრიგადირები გ. შავაძე და დ. ხელხელაური ყრილობის მასალების შესწავლაშიც მოისუსტებენ და მათს ბრიგადებში სამუშაოთა შესრულებაც ჩამორჩება.

ჩვენი კოლმეურნეობის კომუნისტების მიერ პარტიის XX ყრილობის მასალების ღრმად შესწავლა იმის საწინდარია, რომ კონდოლელი კოლმეურნეები პირნათლად შეასრულებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და თავიანთ ლორსეულ წვლილს შეიტანენ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

არ. კოკილაშვილი,

თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ზემო გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის მსმენელები გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს. სურათზე: წრის ერთ-ერთ მეცადინეობაზე პროპაგანდისტი ი. ბაკაშვილი მსმენელებს ესაუბრება თემაზე: „პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში. კონფერენციაზე ჩამოვიდნენ დელეგატები რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან. ისინი წარმოადგენდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1954-1955 წლების მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამბ. მ. მ. ლელაშვილმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, რომ საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, ისინი თავდადებით იბრძვიან ამ გადწყვეტილებათა, მეექვსე ხუთწლედის დიდებულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

— საქართველოს მშრომელებმა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — საბჭოთა კავშირის ხელსთა ძმურ ოჯახში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა ძირითადად ვადამდე შეასრულეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის სახელმწიფო დავალებანი. ამ ხნის განმავლობაში საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 73 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-ზე მეტი ახალი საწარმო. რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა აგრეთვე მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის საწარმოო პროგრამა.

მომხსენებელმა ილაპარაკა პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე, რომლის მიზანია სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად იწყეს მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის, საწარმოო თათბირების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებზე.

უკანასკნელ ორ წელიწადში საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის საწარმოები 518-ჯერ გამოვიდნენ გამარჯვებულნი სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მთ მიეკუთვნათ გარდამავალი წითელი დროშები. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1954 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა 5 პროცენტით, ხოლო გასული წელს წარმაწყინდელთან შედარებით — 9 პროცენტით.

რესპუბლიკის ბევრ საწარმოში პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით შეიქმნა შრომის მოწინავე მეთოდების სკოლები. მაგალითად, სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა 12 სკოლა, რომლებშიც სწავლობდა 500-ზე მეტი კაცი. ამან დადებითი შედეგები გამოიღო. ოპერატორ კოკაიას გამოცდილების მასობრივმა დანერგვამ ხელი შეუწყო ქარხნის მილდასამზადებელი საამქროს წინათ ჩამორჩენილ კოლექტივს შარშან შრომის ნაყოფიერება გადიდებინა 27,2 პროცენტით და ვადამდე შეესრულებინა წლიური საწარმოო პროგრამა.

ორ წელიწადში გამოიცა 87 ბროშურა წარმოების ნოვატორთა შრომის მოწინავე მეთოდების.

პროფკავშირული ორგანიზაციები ახორციელებდნენ ღონისძიებებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმების შესასრულებლად. პროფკავშირული აქტივი მონაწილეობდა საცხოვრებელი ფართობის მშენებლობისა და განაწილების მსვლელობისადმი საზოგადოებრივ კონტროლში. მშენებლობებს კონკრეტული დახმარება გაეწია სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებასა და შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვაში.

საანგარიშო პერიოდში აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 356 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება, ბევრი კულტურის სახლი, კლუბი და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. პროფკავშირული ორგანიზაციები დაეხმარნენ ბევრ მუშასა და მოსამსახურეს ინდივიდუალური სახლების აშენებაში.

— მაგრამ, — თქვა მომხსენებელმა, — ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლოვანებანი. 1954 წელს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა რესპუბლიკაში შესრულდა 73,5 პროცენტით, ხოლო 1955 წელს— 77,9 პროცენტით.

მომხსენებელმა ილაპარაკა სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ზრდაზე.

1955 წელს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების, ინვალიდობისა და მოხუცებულობის გამო პენსიების, მშრომელთა მკურნალობისა და დასვენების მოსაწყობი და პიონერბანაკების შესანახავი ხარჯები 218,8 მილიონ მანეთს შეადგენდა. ორი წლის განმავლობაში სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში იყო 62 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე. შარშან პიონერბანაკებში ზაფხული გაატარა 32.390 მოსწავლემ — 1.649 მოსწავლით მეტმა, ვიდრე 1954 წელს.

მოხსენებაში მოყვანილია მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, თუ როგორ ძლიერდება პროფკავშირული ორგანიზაციების კავშირი მასებთან. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და ადგილკომები უფრო ხშირად განიხილავენ საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხებს, ამამენ მუშა-მოსამსახურეებს ამ საქმეში.

ამასთან მომხსენებლებმა და დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის პროფესიულ ორგანიზაციათა მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. აღინიშნა, რომ პროფკავშირთა საქმიანობის ნაკლოვანებათა კრიტიკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე მთლიანად ეხება საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც. დელეგატებმა თქვეს, რომ პროფკავშირის მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს და იმ ამოცანებს, რომლებსაც პარტია სახავს. მთავარი, რაც მათ აკლიათ, არის ბრძოლისუნარიანობა, შემოქმედებითი გზნება და სიმახვილე, პრინციპულობა და ინიციატივა ძირეული საკითხების — შრომის ნაყოფიერების გადიდების, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილების, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის საკითხების დაყენებაში და სხვ. სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა მივიჩნიოთ, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები მთელ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ საკმაოდ დაკავშირებული არ არიან მასებთან, არ სწვდებიან მათს საჭიროებასა და მოთხოვნილებას.

— მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევა, — როგორც ეს თქვეს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ძიძიგურაშვილმა და სხვებმა, — მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივაზე, იმაზე, თუ როგორ რაზმავენ და წარმართავენ ისინი მუშა-მოსამსახურეთა ღონისძიებებს იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც საწარმოთა წინაშე დგას.

ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა. ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მეოხებით შახტის კოლექტივი დიდი შრომითი აღმავლობით მუშაობს. შახტი სისტემატურად იღებს ქვანახშირს გეგმის გადამეტებით, ასრულებს შეჯიბრებით ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებებს.

მაგრამ ბევრ საწარმოში, მშენებლობაზე, მტსში, საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი პროფორგანიზაციების ფორმალიური დამოკიდებულება სოციალისტური შეჯიბრების საკითხებისადმი. ამის შესახებ ბევრი რამ ითქვა კონფერენციაზე. კერძოდ აღინიშნა კასპის ცემენტის ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის სუსტი მუშაობა. ქარხანა სისტემატურად ვერ ასრულებს საწარმოო გეგმას. წარმოებაში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხებზე ფაქტიურად არავინ არ მუშაობს. შეჯიბრების ხელშეკრულებებს დეკლარაციული ხასიათი აქვს. საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს (თავმჯდომარე ამბ. დემეტრაშვილი) დროზე არ განუხორციელებია ღონისძიებანი ქარხნის პროფორგანიზაციის მუშაობაში ჩამოყალიბებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი სამინისტრო, როგორც, მაგალითად, კოშენალური მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო და შესაბამისი პროფკავშირული ორგანიზაციები ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ აჯამებენ შეჯიბრების შედეგებს, რათა გამოაკლონონ გამარჯვებულნი და განსაზღვრონ პრემიები.

შეეხნენ რა შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს, კონფერენციის დელეგატებმა დიდი ყურადღება მიაქციეს საწარმოო თათბირების მუშაობას, რომლებმაც დიდი როლი უნდა შეასრულონ მოწინავე გამოცდილების დანერგვაში, წარმოების მუშაკთა ინიციატივის განვითარებაში, საწარმოთა რეზერვების გამოყენებაში.

კონფერენციის დელეგატებმა დაწვრილებით განიხილეს მუშა-მოსამსახურეთა შემოქმედებითი ინიციატივის გაჩაღებაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისადმი დახმარების საკითხები. რესპუბლიკაში 5 ათასზე მეტი რაციონალიზატორი და გამომგონებელია. უკანასკნელ ორ წელიწადში მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე დაინერგა 13 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რომელთაგან მიღებულია 90 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

ამავე დროს კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არიან საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სამინისტროები და პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც დახმარებას არ უწევენ რაციონალიზატორ და გამომგონებელ მუშებს, ზოგჯერ კი აჭიანურებენ ძვირფას წინადადებათა დანერგვის წარმოებაში.

კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან კონკრეტული დახმარება გაუწიონ წარმოების ნოვატორებს რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დროზე განხილვასა და მიღებულ წინადადებათა დანერგვაში. დელეგატებმა დააყენეს საკითხი, რომ საჭიროა უკეთ მოეწყოს ინფორმაცია ტექნიკურ სიახლეთა შესახებ, პერიოდულად მოეწყოს იმ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა თათბირები, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ, აგრეთვე საკითხი, რომ გაუმჯობესდეს საწარმოებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროების მუშაობა.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება მიექცა კოლექტიური ხელშეკრულებათა შესრულებას. კოლექტიური ხელშეკრულებები საწარმოთა მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ძლიერი საშუალებაა. მაგრამ, როგორც დელეგატებმა აღნიშნეს, ქვანახშირისა და სატყეო მრეწველობის, სასურსათო საქონლის მრეწველობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში, ბევრ საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში ცუდად სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებანი.

დელეგატებმა აღნიშნეს, რომ პროფორგანიზაციები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა უხეშ დარღვევას, მტკიცედ არ მოითხოვენ ვალდებულებათა ყველა პუნქტის შესრულებას. შარშან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ერთხელაც არ მოუწყვიათ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება 56 მანქანა-ტრაქტორთა სადგურში.

პროფკავშირთა აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჯაბუამ და ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მნარეველმა ი. ორჯონიკიძემ თქვეს, რომ ზოგიერთი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებისა და შრომის ნორმალური პირობების შექმნისათვის.

გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ავრბამ და ახალქალაქის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ა. ამირბეგიანმა მოიყვანეს იმის მრავალი ფაქტი, თუ რა ფორმალურ-ბიუროკრატულ დამოკიდებულებას იჩენენ საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მტს-ების მექანიზატორთა საჭიროებებისადმი.

კონფერენციის დელეგატებმა დიდი ყურადღება მიაქციეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჟორჟოლაძემ ილაპარაკა, თუ რა როლი ენიჭება პროფკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის აღზრდაში. მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რომელიც არ უწყობს ხელს ბავშვთა და ახალგაზრდობის დასვენების, შრწყობას ამიერკავკასიის რკინიგზის მატარებელი აღზრდის სახლში.

დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც არ უზრუნველყოფს საჭირო საწარმოთა ზუსტ მუშაობას.

მთელმა რიგმა დელეგატებმა გააკრიტიკეს საქართველოს პროფსაბჭო, რომელიც საკმაო დახმარებას არ უწევს პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტებს და ძირეულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამბ. ს. მიქელაძემ, მაგალითად, თქვა, რომ საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორები რესპუბლიკურ კომიტეტებში უფრო იმისათვის დადიან, რომ შეგვროვონ პროფსაბჭოს სხდომებზე განსახილველად საჭირო მასალები, ვიდრე ცოცხალი კონკრეტული დახმარების გასაწევად. საკმაო პრაქტიკული დახმარება არ იგრძნობა აგრეთვე პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტებისა და საკავშირო პროფსაბჭოს განყოფილებათა მხრივ.

დელეგატებმა გაამახვილეს ყურადღება პროფორგანიზაციების ამოცანებზე სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების სა

პოლიტექნიკური სწავლება—მაღალ დონეზე

პარტიის XX ყრილობამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საბრძოლო ამოცანად დაგვისახა პოლიტექნიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესება. ამ საქმის წარმატებას უმთავრესად საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასთან სწავლების მჭიდრო კავშირი განაპირობებს.

რუსთავის მე-2 საშუალო სკოლამ ამ მიზნის განსახორციელებლად გარკვეული მუშაობა გასწია. ეუწინარეს ყოველისა შეეცადეთ შეგვექმნა ისეთი სასწავლო-მატერიალური ბაზა, რომელიც პოლიტექნიკური სწავლების სწორი ორგანიზაციის საშუალებას მოგვცემდა. სკოლის შეფმა — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ უსასყიდლოდ გადმოგვცა სახარატო ჩარხი, ელექტრობურღი, ავტომობილის ძირითადი ნაწილები, საზეინკლო გირაგები, წვრილი იარაღები, ხელსაწყოები და სხვა ინსტრუმენტები. ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტიდანაც მივიღეთ სახეინკლო იარაღები, სალესი ქვები, დანადგარებისა და დამონტაჟებისათვის საჭირო მასალები.

მანქანათმცოდნეობის მასწავლებლის ჰ. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეებმა თვითონვე დაამზადეს ბეტონი. მათ მოამზადეს მკვიდრი საძირკვლები, რომლებზეც სახარატო ჩარხი და ელექტრობურღი დამონტაჟდა. სახარატო ჩარხი ამჟამად სამფაზიან დენზეა ჩართული და გამართულად მუშაობს. სახელოსნოსათვის საჭირო მოწყობილობის შერჩევა-შეძენაში დახმარება გაგვიწია მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსმა შ. ჩოჩიამ — ჩვენი სკოლის მშობელთა კომიტეტის აქტიურმა წევრმა. სახელოსნოს მოწყობისას იგი რამდენჯერმე მოვიდა სკოლაში და დაგვეხმარა მოწყობილობის რაციონალურად განლაგებაში.

ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის კაბინეტები შევავსეთ 4.000 მანეთის ღირებულების ახალი ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებით, პრეპარატებით და სხვა თვალსაჩინო მოწყობილობით. ამ საგნების სწავლება გარდაიქმნა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად.

ფიზიკის კაბინეტში, რომელსაც ამ საგნის მასწავლებელი ი. წერეთელი ხელმძღვანელობს, მუშაობენ ელექტროტექნიკის, ფიზიკის და სხვა წრეები. კაბინეტის სახელოსნოში მოსწავლეებმა მრავალი თვითნაკეთი სასწავლო ხელსაწყო დაამზადეს. მათ შორის გამოირჩევა მეთერთმეტეკლასელ გ. ხუბაევის ცენტრიდანული ძალის სადემონსტრაციო ხელსაწყო.

ფიზიკის წრის წევრმა მე-7 კლასის მოსწავლემ ზ. ცუპამ გააკეთა მაქსველის ქანქარა, ერთმილაკიანი რადიომიმღები. მასვე თავისუფლად შეუძლია კონდენსატორის შემსწავლელი წრის წევრების ზ. ცუპას, გ. ყანჩელის, ნ. წიკლაურისა და გ. ხუბაევის მონაწილეობით ელექტროლიზური დისოციაციის თეორიის შესასწავლასთან დაკავშირებით მეთერთმეტეკლასელებმა დათვალიერეს ამავე ქარხნის ელექტროსაამქრო, სადაც გაეცნენ ლითონის მონიკელების, მოქრომვისა და მოთუთიების პროცესებს. რკინის შესახებ თეორიული მასალის შესწავლის შემდეგ ასევე წარმატებით მოეწყო მეთერთმეტეკლასელთა ექსკურსია საბრძოლო მარტენის საამქროებში. მოსწავლეები ესაუბრნენ თუჯის დნობის ცნობილ ოსტატს ვ. კობერიძეს, გააკეთეს სათანადო ჩანაწერები, შეადგინეს თუჯისა და ფოლადის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების აღწერილობანი. ეს სამუშაო საკითხის ღრმა ცოდნით შეასრულეს მოსწავლეებმა ნ. მგელაძემ, ც. წიქარიძემ და სხვ.

ქიმიის მომდევნო გაკვეთილი ექსკურსიაზე მიღებულ შთაბეჭდილებათა განხილვასა და შეჯამებას მიეძღვნა. გადავწყვიტეთ მეტალურგიული წარმოებისადმი ინტერესის შემდგომი გაძლიერების მიზნით სკოლაში მოვაწყოთ შეხვედრა მარტენის საამქროს ნოვატორებთან. ახლო მომავალში მოსწავლეთა ექსკურსიები მოეწყობა აგრეთვე აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნებში.

ბიოლოგიის კაბინეტში მოწყობილი გვაქვს ცოცხალი კუთხე, სადაც სხვა ცოცხალ ექსპონატებთან ერთად გვაქვს სკა, თარო აბრეშუმის ჭიისათვის. აქ მოსწავლეები დაკვირვებას ახდენენ ფუტკარსა და აბრეშუმის ჭიაზე.

სკოლას აქვს 0,15 ჰექტარი სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. შედგენილია ნაკვეთზე მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით მოსწავლეებმა შეასრულეს ყველა საშემოდგომო სამუშაო. ამჟამად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. ნიადაგი უკვე დამუშავებულია, შევიტანეთ ნაკელი, დავთესეთ საგაზაფხულო კულტურები, ვაკეთებთ კვალსათბურებს.

სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრეში გაერთიანებული მოსწავლეები თეორიული მასალის შესწავლის პარალელურად ნაკვეთზე ჩაატარებენ ცდებს ვეგეტაციური ჰიბრიდების მისაღებად, აგრეთვე საოჯახო მცენარეების ვეგეტაციურ გაზრავლებაზე. კვადრატულ-ბუდობრივად დათესავენ სიმინდს, ამავე წესით დარგავენ ბოსტნეულს.

ამას წინათ აზოტოვანი სასუქების ქარხანამ სკოლას მისცა 40 კილოგრამი ამონიუმის გვარჯილა. ბიოლოგიის მასწავლებლის ზედამხედველობით მოსწავლეებს ნიადაგში თვითონ შეაქვთ მინერალური სასუქი, პრაქტიკულად სწავლობენ მინერალური სასუქის ზეგავლენას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდაზე. ნორჩ ნატურალისტთა წრე ყოველთვიურად უშვებს კედლის გაზეთს, რომელშიც სისტემატურად ქვეყნდება მასალები სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობისას მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ.

პოლიტექნიკური სწავლების დარგში ნაკლოვანებებიც გვაქვს. მოუწყობელია სადურგლო სახელოსნო. არსებული სახელოსნოებიც შემდგომ გაფართოებას საჭიროებს. ნაკლოვანებანი განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოლიტექნიკური საგნების სწავლების მეთოდიკაში. ხელგარჯილობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის მასწავლებლები საფუძვლიანად ფლობენ სასწავლო საგანს, მაგრამ მეთოდური დახელოვნება აკლიათ. გაკვეთილის მიმდინარეობისას ისინი ვერ ახერხებენ მუშაობაში ყველა მოსწავლის აქტიურად ჩაბმას. მოისუსტებს მასალის გამოკითხვის, მიღებული ცოდნის განმტკიცების ორგანიზაცია და სხვ.

ურიგო არ იქნება, რომ საქალაქო მასშტაბით მოეწყოს ხელგარჯილობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის ღია გაკვეთილები. ეს ერთგვარად შეუწყობს ხელს მეთოდური ხასიათის ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და პოლიტექნიკური სწავლების დარგში მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. საჭიროა ამავე მიზნით მასწავლებლებს პერიოდულად მიეცეთ მეთოდური რჩევა-დარიგება.

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება თვით ცხოვრების გამოცდილებამ გვიკარნახა. ჩვენი ვალია ძალა და ენერგია არ დავზოგოთ ამ სასარგებლო საქმის წარმატებისათვის.

ნ. გელაშვილი,
რუსთავის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი.

„ვეფხისტყაოსანი“ გერმანულ ენაზე



ამას წინათ ბერლინში გამომცემლობა „რუტენ უნდ ლოენინგმა“ დიდი ტირაჟით გამოსცა შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი.

თარგმანი შესრულებულია ცნობილი ავსტრიელი პოეტის ჰუგო პუპერტის მიერ. რედაქტორია პროფესორი შ. ნუცუბიძე.

წიგნისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში გამომცემლობა მაღალ შეფასებას აძლევს პოემას და ხაზს უსვამს იმ როლს, რომელიც ამ ნაწარმოებმა შეასრულა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ ურთიერთობაში.

წიგნს დართული აქვს კომენტარები და მხატვარ ს. ქობულაძის ილუსტრაციები.

გათუმელი მოცეკვავეები მოსკოვში

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ მოსკოვში გაემართა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის მეხუთე ყრილობა. ყრილობის დელეგატებისათვის გამართულ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს უკრაინის, ლატვიის, ესტონეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. საქართველოდან მიწვეული იყო ჭარკოოპკავშირის კლუბთან არსებული ხალხური ცეკვის ანსამბლი (ქორეოგრაფი გ. ჩიხლაძე).

ქართველი მოცეკვავეები გამოვიდნენ „ცენტროსოიუზის“ მუშაკთა კლუბში და საჭოთა არმიის ცენტრალური სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტებზე. წარმატება ხვდათ ანსამბლის სოლისტებს მ. ღოღობერიძეს, ბ. თაყაიშვილს, ჯ. ჩიჩუას, ი. ცინცაძეს, მ. მამფორიას, ა. ტუღუშს და სხვ.

ანსამბლის ყველა წევრი დაჯილდოეს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ფასიანი საჩუქრებით.

„რაიონული გაზეთების პოლიგრაფიული გაფორმება“

„სახელგამის“ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურის რედაქციამ ქართულად თარგმნა და ბროშურად გამოსცა საწარმოო-ტექნიკური ინსტრუქცია „რაიონული გაზეთების პოლიგრაფიული გაფორმება“, რომელიც შეკვეთილია ქართული მასალებით.

ბროშურაში გაშუქებულია რაიონული გაზეთების გაფორმების საკითხები, ფორმატის ნორმატიცები, შრიფტების ასორტიმენტი და მათი გამოყენება, საგაზეთო მასალების გამოყოფის, გრაფიკული ნაწილის დამზადებისა და შესრულების ხერხები და სხვ.

ბროშურა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ადგილობრივი პრესის მუშაკებს სასტამბო და საგაზეთო საქმის დაუფლებაში.

მუშაობის მოწინავე მეთოდები საზოგადოებრივი კვების საწარმოებში

„საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ, ახალი ამოცანები დაუსახა საზოგადოებრივი კვების მუშაკებს.

მეექვსე ხუთწლედში უდიდესი ღონისძიებები განხორციელდება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, შეიქმნება სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის პროდუქტების სიუხვე, რაც კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საწინდარია. საზოგადოებრივი კვების მუშაკების მოვალეობაა პროდუქტები დროზე და ლამაზად მიაწოდონ მომხმარებლებს, გაუწიონ მათ კულტურული მომსახურება, გამოუშვან საუკეთესო ხარისხის, მრავალფეროვანი, გემრიელი, ნოყიერი კერძები. საზოგადოებრივი კვების მუშაკების ამოცანაა დანერგონ მომხმარებელთა მომსახურების მოწინავე მეთოდები—თვითმომსახურება, კერძების სახლში გაყიდვა და მიტანა, მოაწყონ უგამყიდველო ბუფეტები, გამოიყენონ გასაყიდი ავტომატები და სხვ.

განსაკუთრებით აქტუალურია თვითმომსახურებაზე გადასვლა. პრაქტიკით დადასტურდა, რომ თვითმომსახურებას უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ მომსახურებასთან შედარებით, როდესაც მომხმარებელი ბევრ დროს კარგავს მიმტანის ლოდინში. თვითმომსახურებისას მუშა-მოსამსახურეები შესვენების დროს რაციონალურად იყენებენ, შეაძლებლობა აქვთ თვითონ უყურონ ზოგიერთი კერძის დამზადებას და გაფორმებას, რაც ზრდის მომსახურე პერსონალის პასუხისმგებლობას. თვითმომსახურება ხელს უწყობს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას, ამცირებს არასწარმოო ხარჯებს.

საზოგადოებრივი კვების საწარმოების თვითმომსახურებაზე გადასაყვანად საჭიროა მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება. მათ შორის მთავარია კერძების გასაშვები ფრონტის სათანადოდ მოწყობა. ეს იმას ნიშნავს, რომ კერძების გასაშვები ფანჯარა უნდა იყოს ფართო, მოხერხებული, ცალკე სექციებად დაყოფილი. სალარო, ჭურჭლის, ხელსაწყოებისა და ხონჩების, პურის, ცივი კერძებისა და საუზმის, ცხელი კერძებისა და სასმელების სექციები განლაგებული უნდა იყოს თანმიმდევრულად.

როგორც გამოიწერინებელა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სასადილოების მოწყობა ევალებათ თვით ამ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საზკვების საერთო სარგებლობის საწარმოების გადაკეთება და გაფართოება-მოწყობა კი თვით საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს — ტრესტებს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულება, საჭიროა ამთავითვე მოვკიდოთ ხელი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რეკონსტრუქციას და სათანადოდ მოწყობას.

ზოგ საწარმოში საქმით გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას, გადააკეთეს თავიანთ ქარხნებთან არსებული სასადილოები, მოაწყეს კერძების გასაშვები ფრონტი. მაგრამ არიან ისეთი სამრეწველო საწარმოებიც, რომლებიც არ ჩქარობენ მუშაობის მოწინავე მეთოდებზე გადასვლას. ასეა, მაგალითად, ავტოშემკეთებელ ქარხანაში, № 77 სასადილოში და სხვ.

სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების დაპროექტებას ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების ქსელის დამპროექტებელი ორგანიზაციის „სოიუზგიპროტორგის“ საქართველოს ფილიალი აწარმოებს. მის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ახალი სასადილოების, ბუფეტების და სასაუზმეების დაპროექტებისას ზოგი დამპროექტებელი არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი კვების ქსელისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მუშაობს ძველებურად. მაგალითად, ჩელიუსკინელების ქუჩაზე ახალი სასადილო დაპროექტებულია მუშაობის ძველი, ჩამორჩენილი მეთოდების მიხედვით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა მალე უნდა გარდაიქმნას. ამ მიზნით საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ მოსკოვის და ლენინგრადის საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკთა გამოცდილება, გაბედულად დავნერგოთ ეს გამოცდილება და ამით უზრუნველყოთ მომხმარებელთა მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესება.

ზ. ტურიაშვილი,
საზოგადოებრივი კვების ინჟინერ-ტექნოლოგი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაჯომ აბ აბის სოფლად ფართო მოხმარების საქონელი“

16 მარტს „კომუნისტმა“ ამ სათაურით გამოაქვეყნა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კოოპერაციულ სავაჭრო ქსელში პირველი მოთხოვნილების საქონელი არ იშოვნება.

ცეკავშირის გამგეობამ თავის სხდომაზე განიხილა ამ კორესპონდენციაში აღძრული საკითხი, დაადასტურა ყველა ფაქტის სისწორე და სოფლად სამრეწველო საქონლის შეზიდვის დარგში სუსტი მუშაობისათვის საყვედური გამოუცხადა სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული ქსელის მთელ რიგ მუშაკებს, სინჩერის, ცაგერის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ჭიათურისა და ქუთაისის რაიკოოპკავშირების გამგეობათა თავმჯდომარეებს. ცეკავშირის გამგეობამ ამასთან დასახა ღონისძიებანი სოფლის სავაჭრო ქსელის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ფერდობებზე ვაზის გაშენების საკითხისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის პროგრამა. ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება 15 ათასი ჰექტარი ვენახი, ყურძნის ღვინის წარმოება 1,8-ჯერ გადიდდება. შემდგომ ორ ხუთწლედშიც ვენახების ფართობი 30-40 ათასი ჰექტარით გაიზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თხუთმეტიოდე წლის მანძილზე რესპუბლიკაში ვენახების ფართობი სულ ცოტა ერთიორად გადიდდება. ეს საქართველოს მშრომელებს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მუშაკებს ბევრ რამეს გვავალებს.

მევენახეობა და მეღვინეობა ოდითვე ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმეა. როცა ქართველი კაცი ვაზის გავრცელების არეში სახლდებოდა, სახლის საძირკველთან ერთად ვენახსაც ჩაჰყრიდა ხოლმე. საქართველოდან ღვინო მეზობელ ქვეყნებშიც გაჰქონდათ, სამაგიეროდ იქიდან შემოჰქონდათ ქვეყნისათვის საჭირო საქონელი. ამიტომ არის, რომ დროთა მანძილზე საქართველოში ვაზის მრავალი ჯიში შეიქმნა და ჩამოყალიბდა აკად. ი. ჯავახიშვილმა ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე ძველი საქართველოსთვის 420 ჯიში დაადგინა, აქედან კახეთისათვის — 56, ქართლისათვის — 43, იმერეთისათვის — 42, რაჭისათვის — 59, სამეგრელოსათვის — 53, გურიისათვის — 59 და სხვ.

ამჟამად საბჭოთა საქართველოში აღრიცხული და აღწერილია 500-მდე ჯიში, მაშინ როცა ევროპის ყველა ქვეყნისათვის აღწერილია მხოლოდ 3.000-მდე ჯიში.

ჩვენში ყოველი ცალკეული ისტორიულ-ბუნებრივი მხარისათვის (შიგნით კახეთი, გარეკახეთი, ქვემო, შუა და ზემო ქართლი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, აჭარა და სხვ.) გამოჰყავდათ თავისი მხარისათვის შესაფერისი და დამახასიათებელი ჯიში. ამჟამად კახეთში 60-მდე ჯიშია ცნობილი, ქართლში — 55-მდე, იმერეთში — 60-მდე, რაჭა-ლეჩხუმში — 65-ზე მეტი და სხვ. ბევრი ჯიში ისეა გაუმჯობესებული, გაკეთილშობილებული, ჩამოყალიბებული და დაწმენდილი, რომ ისინი გასაცლდნენ თავიანთი სამშობლოს ფარგლებს. ასეთია, მაგალითად, რქაწითელი, რომელიც შესანიშნავად ხარობს და ფართოდ გავრცელდა სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირიმში, უკრაინაში, ბესარაბიაში, მოლდავეთში, ბულგარეთში, რუმინეთში და სხვაგან. საფერავმა ხომ დიდი ხანია დაიმკვიდრა პირველობა წითელი ღვინოების ჯიშებში! ასევეა ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, კახური მწვანე, გორული მწვანე, თავკვერი, ოჯალეში, ოცხანური, საფერე, ჯანი, კლარჯული, თითა და სხვა მრავალი. საქართველო თანამედროვე მეცნიერებამ კულტურული ვაზის ერთ-ერთ სამშობლოდ აღიარა.

საქართველოში ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების წესები თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ამასთან ხალხი ახალ პირობებში ყოველთვის აუმჯობესებდა როგორც ამ წესებს, ისე ყურძნის ჯიშებს.

დღემდე საქართველოს ვენახის ფართობისა და ყურძნის ხარისხის მიხედვით საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი უჭირავს.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს, რომ ღვინის ხარისხის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ვიყოთ. თუმცა ეს საკითხი თავისთავად არ მოვა. ამისათვის საჭიროა თავდადებული მუშაობა, ვაზის მოვლის, მეღვინეობის ძველი წესების გაუმჯობესება ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით, შემოქმედებით ათვისება და დანერგვა. ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობით და ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ვენახების მოვლის ჩრავალ ცნობილ წესს.

ვენახების გაშენების დროს არავითარ შემთხვევაში ნაკლები წინააღმდეგობის მომართულებით არ უნდა წავიდეთ. უკანასკნელ დროს ჩვენში ახალი ვენახების გაშენების დროს აქა-იქ ვხვდებოდით გაიოლების ტენდენციას, რამაც ჩვენს მევენახეობას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს.

პირველ რიგში აქ მინდა შევჩერდე საკვენახე ადგილის შერჩევაზე.

საქართველოში ვაზი კარგად ხარობს ზღვის დონიდან 1.200, ზოგან 1.400 მეტრზე. განსაკუთრებით დიდი ეკონომიური ეფექტი მოაქვს 1.000 მეტრზე გაშენებულ ვაზს. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ თვლიდნენ საერთოდ ვენახისათვის შესაფერი მიწებიდან უფრო კარგი და საუკეთესო ნაკვეთები გამოეყოთ.

მართალია ვაზი ამ სარტყელში ყველგან ხარობდა, მაგრამ ყველგან ერთნაირად რიდი ვითარდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მას ზოგან მზე აკლდა, ზოგან ქარი მოქმედებდა, ზოგან ჭარბი სინესტე, ზოგანაც ზედმეტი სიმშრალე და სხვ.

ვინ არ იცის, რომ ყურძენს მზე უყვარს. დამკრახული ყურძნისაგან მიღებული ღვინო ბაგარია, სასიამოვნო გემო და სურნელება აქვს. მზვარე ადგილას დამწიფებული ყურძნის წვენში შაქარი ყოველთვის 15-20 პროცენტით მეტია.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენში ვენახები ჩვეულებრივად შენდებოდა მზით განათებულ მთის ფერდობებზე.

კახური განთქმული ღვინოები: კარდანახული, გურჯაანული. მუკუზნური, წინანდლური და სხვები მთის ფერდობებზე გაშენებული ვენახების პროდუქციაა. ასევე მთის ფერდობთა ვენახის ღვინოებია მუხრანული, ატენური, მეჯვრისხევური, სვირული, ტვიშური, ხვანჭკარული და სხვ. თუ კახეთში ვაკე ადგილის ღვინო ბლანტე და ძალგია, ხოლო ქართლის ვაკის ღვინოები თხელი, წყალწყალა და სურნელებას მოკლებული, მთის ფერდობებზე გაშენებული ვენახის ღვინო ცქრიალა, წმინდა, სურნელოვანი და გემრიელია.

ყოველივე ეს თვით ვაზის ბუნებიდან გამომდინარეობს, ვაზს უყვარს მზე, ნორმალური ტენი.

კახური ტიპიური ღვინოები დგება 400-450 და 700 მეტრ სიმაღლეებს შუა მოქცეულ იმ ფართობებზე, რომლებიც მზით კარგად განათებულ მთის ფერდობებზე მდებარეობს და რომელთა ნიადაგი შექმნილია მდინარით გაბინანტანი პროდუქტების კონუსებზე. ასეთ ნიადაგში ზედმეტი წყალი არ დგება, ეს უკანასკნელი ადვილად იფილტრება, კირი შეზავებულია ნიადაგის შემადგენლობაში.

ასევეა გარეკახეთშიც. კარგი ღვინოები დგება გომბორის ქედის სამხრეთისკენ მიქცეულ კალთებზე, 500-700 მეტრის სიმაღლეებს შორის მდებარე ფერდობებზე (კაკაბეთი — მანავი — საგარეჯო — ნინოწმინდა — ხაშმი). მდინარე ივრის პირას მოსული ღვინო თავისი ღირსებით ბევრად ჩამორჩება მანავ-საგარეჯოს ღვინოებს. ასევეა ქართლში: საუკეთესო ღვინის რაიონებია ე. წ. გვერდის ძირი — წილკანი — ვაზისუბანი (დამპალო) — ქსოვრისი — თეზი — ოკამი — კოდისწყარო — მეჯვრისხევი — ფლავისმანი და სხვ.

ამჟამად არის ტენდენცია ვენახები ვაკე ადგილებზე გააშენონ, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მთის ფერდობზე ვენახების დამუშავების მექანიზაცია გაძნელებულია, მაშინ როცა ვაკე ადგილებზე ეს საქმე უფრო ადვილია, ნიადაგის პლანტაჟი, ხვნა. კულტივაცია ვაზის წამლობა რაიმე განსაკუთრებულ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული.

რასაკვირველია, მექანიზაციის განუხორციელებლად წარმოუდგენელია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მზარდი ალმავლობა, შრომის ინტენსიფიკაცია და პროდუქციის ერთეულზე დახარჯვის შემცირება. ამიტომ მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში და, კერძოდ, მევენახეობაში ფართოდ უნდა დანერგოთ. ამასთან უნდა ვიზრუნოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურის პროდუქციის ხარისხისათვის, ამ შემთხვევაში კი ჩვენი ტიპიური, დამახასიათებელი ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებისათვის. პირველ რიგში უნდა ვეცადოთ, რათა მთის ფერდობებზე შევარჩიოთ ისეთი ნაკვეთები, სადაც ვენახის დამუშავების მექანიზაცია შედარებით ადვილია იმ იარაღ-მანქანებით, რომლებიც ამჟამად მოგვეპოვება. ჩვენი მექანიზატორების და ამ დარგში მომუშავე მეცნიერთა ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა შექმნან მთის კარგი ტრაქტორი, მთის მიწის დასამუშავებელი სხვა იარაღ-მანქანები, რომელთა გამოყენებით გავაადვილებთ ბაღ-ვენახების დამუშავებას და, მაშასადამე, შევამცირებთ შრომის ხარჯვას სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის მისაღებად.

ამასთანავე უნდა ვიზრუნოთ დაბლობსა და ვაკე ადგილებში ვენახების გაშენებაზე, იმ კოლმეურნეობას, რომელსაც ადგილ-მამული ვაკეზე აქვს, ვენახიც ასეთ ადგილას ექნება და თუ არა აქვს, ვაკეზეც გააშენებს. ასეთი ვენახის პროდუქტი იქნება ორდინარული და შემაგრებული ტკბილი ღვინოები, კონიაკის სპირტი, ყურძნის წვენი, საჭმელი ყურძენი და სხვ.

იმ საკვენახე ადგილების ფართოდ გამოყენებით, რომლებიც იძლევიან სამარკო, მაღალხარისხოვან ღვინოებს, გავამრავლებთ ჩვენს წარმატებებს ამ დარგში. ჩვენი მევენახეობის ძირითადი მიმართულებაც ხარისხოვანი ღვინის წარმოება უნდა იყოს და საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ბაზარზე სწორედ ჩვენი ხარისხოვანი, თავისებური, უნიკალური ღვინოები უნდა გავიტანოთ. ეს ისეთი ღვინოებია, რომელთა შემცვლელი სხვა ქვეყნებს არა აქვთ.

სწორედ ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ვენახები ჩავყაროთ მართლაც საკვენახე ადგილებში. ამისათვის საჭირო იქნება ჩვენი მევენახეობის რაიონების სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ჩაატარონ მიწების პასპორტიზაცია, დაახარისხონ მიწები, გამოჰყონ საკვენახე ნაკვეთები და დააწესონ, რომ ვენახები მხოლოდ ამ ნაკვეთებზე იქნას გაშენებული. ნაკვეთების გამოყოფის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ რაიონში მევენახეობის განვითარების პერსპექტივა, სახელდობრ, რა სახის მევენახეობა იქნება განვითარებული, რა ტიპის ღვინო უნდა მივიღოთ, გარდა ამისა, ვენახის სხვა რა პროდუქტი გვაინტერესებს — იქნება ეს სუფრის, ქიშმიშის ყურძენი, ყურძნის წვენი, საკონიაკე სპირტი თუ სხვა რამ. თვითეული ამ პროდუქტის მომცემი ვენახი ბუნებრივ პირობებს თავისებურ მოთხოვნილებას უყენებს. მაგალითად, წინანდლის ტიპის ღვინო 400-450-700 მეტრის სიმაღლეებს შორის მდებარე მზით კარგად განათებულ, უმთავრესად მდინარის მიერ გამონატანკონუსებზე გაშენებულ ვენახებში მოდის. მაგრამ თუ ამავე ადგილებში კახური წესით დავაყენებთ — მივიღებთ კახური ტიპის ღვინოს. 700 მეტრს ზევით მდებარე ადგილები კი კარგ საშამპანურე ან ორდინარულ ღვინის ჯასალას იძლევა. დაბლობ ადგილებში — 200-400 მეტრ სიმაღლემდე მივიღებთ მასალას ორდინარული და შემაგრებული ღვინოების დასამზადებლად.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებანი დროულად უნდა გავახორციელოთ, რადგან მარტო წელს რესპუბლიკაში 3.000 ჰექტარი ვენახი უნდა გავაშენოთ. ფერდობებზე ვაზის გაშენების ეპირატესობა სწორედ ის არის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი განთქმული ღვინის ხარისხი, განსაკუთრებით მისი ბუკეტი, არომატი, მივცეთ ჩვენს დიდ ქვეყანას მეტი საუკეთესო ხარისხის ქართული ღვინო.

ნ. ქეცხოველი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ინგლისის საჯელევიზიო გადაცემა. მიძღვნილი ინგლისში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტისადმი

ლონდონი, 8 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ბრიტანეთის რადიომაუწყებელმა კორპორაციამ (ბი-ბი-სი) გადასცა სატელევიზიო პროგრამა, მიძღვნილი ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობისადმი ინგლისში. პროგრამაში ნაჩვენები იყო ამ მოგზაურობის მრავალი ეპიზოდი. უჩვენებდნენ, კერძოდ, სურათებს, რომლებზეც აღბეჭდილია, როგორ მიესალმებოდნენ ინგლისელები საბჭოთა სტუმრებს.

პროგრამაში შეტანილი იყო აგრეთვე კინოქრონიკის კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ სსრ კავშირისა და ინგლისის მონაწილეობას საერთო ბრძოლაში ჰიტლერელთა ჯარების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს. გარდა ამისა, ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის მიღწევებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში.

პროგრამა დამთავრდა პრემიერ-მინისტრ ედენის სიტყვებით მისი გამოსვლიდან რადიოთი — იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტს ინგლისში დადებითი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების საფლავები ბერლინში

ბერლინი, 8 მაისი. (საკდესი). დღეს ბერლინში განთავისუფლების დღის გამო საზეიმო ვითარებაში გვირგვინებით შეამკეს იმ საბჭოთა მეომრების საფლავები, რომელნიც დაღუპნენ ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ტრეპტოვ-პარკში საფლავების გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვ. შტოფი, ფ. ელსნერი, ლ. ბოლცი და ო. ნუშკე, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ე. კორენსი, დიდი ბერლინის ოლქ-ბურგომისტრი ფ. ებერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, მინისტრები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები.

გვირგვინები მიტანილ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, გერმანიის კომუნისტური პარტიის, საელჩოებისა და მისიების, ბერლინის საწარმო-დაწესებულებათა მშრომელების სახელით.

მიტანილ იქნა გვირგვინები აგრეთვე საბჭოთა საელჩოს, გერმანიაში საბჭოთა ჯარების მთავარსარდლისა და მეომართა ჯგუფის სახელით.

საბჭოთა მეომრების ძეგლთან გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფ. ელსნერი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გელგიაში

ბრიუსელი, 8 მაისი. (საკდესი). ბელგიის პარლამენტის მოწვევით აქ მყოფმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ტ. ლაცისის მეთაურობით 6 მაისს დაათვალიერა სასურსათო საქონლის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი (სერია), სადაც იგი მიიღეს ბრაბანტის პროვინციის გუბერნატორმა ბ-ნმა დე ნეიფმა და სერია-ს დირექციის წარმომადგენლებმა.

სერია-ს და იქ წარმოებული მეცნიერული მუშაობის გაცნობის შემდეგ საბჭოთა დელეგაცია იყო საღილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა ბრაბანტის პროვინციის გუბერნატორმა. პროვინციული საბჭოს სახელით ბ-ნი დე ნეიფი მიესალმა „ამ დიდი ერის წარმომადგენლებს, რომლის გმირობამ და კეთილშობილურმა მსხვერპლმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბელგიის არსებობასა და დამოუკიდებლობას ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე შავბნელ პერიოდში“.

„ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის დამყარდა, — განაგრძო მან, — საშუალებას გვაძლევს კიდევ უკეთ გავუგოთ ერთმანეთს და გავაფართოოთ ჩვენს შორის არსებული სოლიდარობისა და მეგობრობის ურთიერთობა მშვიდობისადმი საერთო მისწრაფების საქმეში“.

საბჭოთა დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ვ. ტ. ლაცისმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა პროვინციის გუბერნატორს საბჭოთა დელეგაციის გულთბილი მიღებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ჩამოსვლა ბელგიაში ხელს შეუწყობს უფრო მეტადრო ურთიერთობის დამყარებას ბელგიასა და სსრ კავშირს შორის, აგრეთვე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

7 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ ბრიუსელის მახლობლად დაათვალიერა ბელგიის კონგოს მუზეუმი. საბჭოთა სტუმრები ეწვივნენ აგრეთვე ქალაქ ტამიზში გემთსაშენ ფირმა „ბოელს“. დელეგაციამ დაათვალიერა საწნეხი, სამჭედლო, შემდღუღებელი და სხვა საამქროები, აგრეთვე სატვირთო თბომავლები „იაკობ სვერდლოვი“ და „სტანისლავსკი“, რომლებიც ამჟამად იქ შენდება საბჭოთა კავშირის დაკვეთით. შემდეგ ფირმის ხელმძღვანელებმა დარბაზობა გამართეს საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

დარბაზობის დასასრულს ფირმის გენერალურმა დირექტორმა ვან დამმ განაცხადა, რომ ფირმა „ბოელის“ მუშები და მოსამსახურეები შეეცდებიან „კიდევ უკეთ და სწრაფად აშენონ ხომალდები საბჭოთა კავშირის დაკვეთით“. მან საბჭოთა დელეგაციას სთხოვა გადასცეს საბჭოთა მთავრობას ფირმის მთელი პერსონალის მადლობა იმ ნდობისათვის, რომელიც გაუწია ფირმას საბჭოთა კავშირისათვის გემების აგებაზე დაკვეთების განაწილებისას.

ამავე დღეს საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა ანტვერპენში, სადაც დაათვალიერა ალმასის დამამუშავებელი მრეწველობის ქარხანა „ფერსტენბერგი“. ამ რაიონში განლაგებულ საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები მოწონების შეძახილებით და ტაშით მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს.

დელეგაცია იყო აგრეთვე ალმასის დიდი ვაჭრის რომი გოლდმუნცის კანტორაში, სადაც საბჭოთა სტუმრებს გააცნეს მსოფლიოში უიშვიათესი ალმასების კოლექცია.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა დელეგაციამ ანტვერპენში დაათვალიერა კომპანია „ჯენერალ მოტორს კონტინენტალის“ ქარხნები და ფირმა „გევარტის“ ფოტოფაბრიკა.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო საფრანგეთში

პარიზი, 8 მაისი. (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც პარიზში იმყოფება, გუშინ დაესწრო მთელ რიგ ოფიციალურ ცერემონიებს, მიიღო დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კოტომ სადილი გამართა მარშალ ტიტოს პატივსაცემად.

დღეს იწყება საფრანგეთ-იუგოსლავიის მოლაპარაკება.

პარიზი, 8 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რენე კოტომ სიტყვა წარმოთქვა სადილზე, რომელიც მან ელისეს სასახლეში გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად. მან თქვა:

„ჩვენ სულითა და გულით გვსურს, რომ დაძაბულობის შენელებას თანხმობა მოჰყვეს... ჩვენ გვინდა, რომ ჟენტესა და სიტყვებს მოჰყვეს მოქმედება, დადებითი შეთანხმებანი...“

შეეხო რა საფრანგეთ-იუგოსლავიის ურთიერთობას, რენე კოტომ აღნიშნა, რომ იუგოსლავიისა და საფრანგეთის მთავრობათა ლონისძიებების საერთო მიზანდასახულობა „ხელს უწყობს იმას, რომ ამ ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრობა ქმედით და ცოცხალ მეგობრობად გადაიქცეს“.

ამასთანავე კოტომ ქებით მოიხსენია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი, განაცხადა, თითქოს ეს ბლოკი ხელს უწყობდეს „ურთიერთ უზრუნველყოფას ომის წინააღმდეგ“.

დასასრულ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა განმტკიცდეს საფრანგეთისა და იუგოსლავიის თანამშრომლობა, კერძოდ ეკონომიურ და ფინანსურ შეთანხმებათა გზით.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ საპასუხო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნების ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. „საჭიროა, — განაცხადა ტიტომ, — რომ მათ მუდამ ახსოვდეთ ის, რაც დიდმნიშვნელოვანია, ესე იგი ახსოვდეთ მშვიდობა, საერთაშორისო მშვიდობიანი თანხმობა და თანამშრომლობა“.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ „გამალებული შეიარაღება მოითხოვს უდიდეს რესურსებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კეთილეთის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად“, ტიტომ გამოთქვა აზრი, რომ ქვეყნები შეიძენ ისეთ ფაზაში, როცა თანდათანობით ქრება ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ხალხთა ურთიერთგაცნობას, და რომ საჭიროა გაგრძელდეს სვლა ამ გზით.

შეეხო რა საფრანგეთ-იუგოსლავიის ურთიერთობას, პრეზიდენტმა ტიტომ განაცხადა: „ჩვენი თანამშრომლობა საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის გამოსანახავად შეიძლება ფრიად სასარგებლო იყოს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

საბჭოთა კინოფილმების გასინჯვა ირანში

თეირანი, 8 მაისი. (საკდესი). 7 მაისს თეირანში სსრ კავშირის ელჩმა ირანში ა. ი. ლავრენტიევმა მოაწყო გასინჯვა საბჭოთა ფილმებისა: „ირანის სპარლამენტო დელეგაცია საბჭოთა კავშირში“, „საბჭოთა ვეფხვმჭერნი“ და „ქართული ბალეტის ოსტატები“.

კინოფილმების დათვალიერებას დაესწრნენ სენატორები, მეჯლისის დეპუტატები, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

საბჭოთა ფილმებმა დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებლებში.

რუმინეთის მუშათა პარტიის 35 წელი

ბუქარესტი, 8 მაისი. (საკდესი). დღეს 35 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც დაარსდა რუმინეთის კომუნისტური პარტია (ამჟამად რუმინეთის მუშათა პარტია).

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ მუშათა კლასი და მთელი რუმინელი ხალხი ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. რუმინეთის საწარმოებსა და დაწესებულებებში, ქალაქებსა და სოფლებში იმართება საზეიმო კრებები, საღამოები, მშრომელთა შეხვედრები მუშათა მოძრაობის ვეტერანებთან, პარტიის ძველ წევრებთან.

სახელოვანი წლისთავის გამო გუშინ ბუქარესტში გაიმართა დედაქალაქის ახალგაზრდობის აქტივის კრება, რომელზეც მოხსენება გააკეთა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ნ. ჩაუშესკუმ.

დღევანდელი ცენტრალური გაზეთები დიდძალ მასალას უძღვნიან პარტიის 35-ე წლისთავს. ქვეყნდება მოწინავე სტატიები, პარტიის პირველი ყრილობის მონაწილეთა მოგონებანი, პარტიის ისტორიის დოკუმენტები და სხვა მასალები.

პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში

ვარშავა, 8 მაისი. (საკდესი). აქ იუწყებიან, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტიდან გაათავისუფლა იაკუბ ბერმანი. სახელმწიფო საბჭომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა ევგენი სტავინსკი, რომელიც ამავე დროს შეასრულებს მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობას.

ხელი მოაწერეს ოქმს რემბრანდტის სურათების დროებითი გაცვლის შესახებ სსრ კავშირსა და ნიდერლანდს შორის

საბჭოთა ქვეყანაში კარგად იცნობენ და უყვართ დიდი ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის ქმნილებანი და ემზადებიან ფართოდ აღნიშნონ მისი დაბადების 350 წლისთავი, რაც სრულდება მიმდინარე წლის ივლისში. ხელოვნების მოყვარულებისათვის დიდი მოვლენა იქნება, რომ შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ მხატვრის ნაწარმოებებს, რომლებიც მის სამშობლოში ინახება.

7 მაისს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში ხელი მოაწერეს ოქმს რემბრანდტის სურათების დროებითი გაცვლის შესახებ სსრ კავშირსა და ნიდერლანდს შორის.

მოსკოველები და ლენინგრადელები ნახავენ რემბრანდტის ექვს სურათს, რომლებიც ჩამოაქვთ ნიდერლანდიდან. მათ შორის არის „დოქტორ დეიმანის ანატომიის გაკვეთილი“, „ევანგელისტი“, „ქვისხიდიანი პეიზაჟი“, „ეფრაიმ ბონუსის პორტრეტი“, „ავტოპორტრეტი“, „ნატიურმორტი მკვდარი ფაშეანგებით“.

ამსტერდამსა და როტერდამში ექსპონირებული იქნება ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის კუთვნილი სურათები: „დავითი და იონათანი“, „ფლორა“, „იერემიას დეკერის პორტრეტი“, „ბარტიე დოომერის პორტრეტი“, „მოხუცი ქალის პორტრეტი“, „წმიდა ოჯახი“. (საკდესი).

თბილისი. ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალი შენობა საბურთალოზე.

გაზაფხული ზოოპარკში

ლამაზი სანახავია ამ დღეებში თბილისის ზოოპარკი. ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე მოესვენარი გახდა ინდური სპილო „მალკა“. იგი ხშირად მიდიოდა კართან, რომელიც რკინის ურდულით იყო ჩაკეტილი, და მას ხორთუმს ურტყამდა, საზაფხულო ვოლიერში გაყვანას მოითხოვდა. და როცა ნახა, რომ გარეთ არ უშვებდნენ, რადგან საკმაოდ ცოდა, გადაწყვიტა თვითონ ეშველა თავისათვის — მძლავრი დატაკებით გაანგრია აგურით ამოშენებული ერთ-ერთი გაუქმებული კარი, თავი გაჰყო შიგ და ხარბად დაიწყო სუნთქვა გაზაფხულის სუფთა ჰაერით. საღამოს კიდელი ამოაშენეს, მაგრამ დილით „მალკამ“ იგი კვლავ გაანგრია.

წელს გაზაფხულისათვის უჩვეულო ცივი ამინდებია, ამიტომ ჯერ კიდევ ზოგიერთ ტროპიკულ ცხოველს ჰაერზე არ უშვებენ. მაიმუნები ძალიან ნერვიულობენ, ყვირიან, ფანჯრებს არ შორდებიან, ცდილობენ გაალონ საზაფხულო ვოლიერის კარი.

საბჭოთა კავშირის ფაუნის ძვირფასმა წარმომადგენლებმა — ყირიმის ირმებმა ადრე გაზაფხულზე რქები მოიცალეს. ახლა მათ კვლავ ეზრდებათ ახალი რქები, რომელთა ზრდა აგვისტოში დასრულდება.

ერთ-ერთი ულამაზესია ის ვოლიერი, სადაც ხარბები, პეკინის მუშაკიანი და გარეული იხვები არიან. აქ აგებულია ხელოვნური მთა, საიდანაც გამუდმებით მოჩუხჩუხებს წყალი, მოწყობილია პატარ-პატარა აუზები, გაყვანილია არხები. ამ ვოლიერში დიდი გამოცოცხლებაა. დილაადრიან ვოლიერის ბინადრები ყივილ-ხივილით აუზში ჩაცვივდებიან, ნისკარტით ისუფთავებენ ტანს — ეს მათი დილის „ტუალეტია“.

პარკს სამი ახალი ბინადარი შესძინეს გარეულმა ცხვრებმა. ახალგაბადებული ბატკნები კუნტრუშით დასდევენ დედებს. შთამომავლობა მოგვეცი აგრეთვე ზებუს ჰიბრიდმა.

ამ დღეებში „ზოოცენტრის“ კოოპერაციის ბაზიდან აქ ჩამოიყვანეს ფრთოსანთა ძვირფასი წარმომადგენელი— დედალ-მამალი ფლამინგო. ამ ბოლო დროს ჩვენს ზოოპარკს ფლამინგო არა ჰყავდა. იგი ჭაობის მეტად ლამაზი გარდისფერი ფრინველია, გვხვდება კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

ამას წინათ დამთავრდა ზებუს ჰიბრიდების ახალი საღგომის მშენებლობა. მიმდინარეობს ანტილოპა კანისა და ანტილოპა გნუს ვოლიერის რეკონსტრუქცია.

ბევრ ახალს და საინტერესოს ნახულობენ ზოოპარკის სტუმრები, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

ა. ივანიძე.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში

8 მაისს მოსკოვში გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების მეორე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ანგარიშით 53:51 გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის გუნდმა. (საკდესი).

ზონალური ტურნირი ერევანში

დღეს ერევანში იწყება სსრ კავშირის XXIII საჭადრაკო ჩემპიონატის ზონალური ტურნირი, რომელშიც დაშვებულია აზერბაიჯანისა და საქართველოს ექვს-ექვსი, სომხეთის 4 და მოლდავეთის 2 მოჭადრაკე. შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობას მიიღებენ გროსმაისტერები ს. ფლორი და ა. ტოლუში. ზონალურ შეჯიბრებაში პირველ ოთხ ადგილზე გამოსულ მოჭადრაკეები დაშვებული იქნებიან ნახევარ ფინალში.

გუშინ საქართველოს მოჭადრაკეები ერევანში გაემგზავრნენ. მათ რიგებში არიან მ. შიშოვი, ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი, თ. გიორგაძე, ა. ბლაგიძე და გ. კალატოზიშვილი.

ზონალური შეჯიბრება ერევანში ერთ თვეს გაგრძელდება.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საფრანგეთი იანვრის არჩევნების შემდეგ

საფრანგეთის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაზე სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საჭიროა ორიოდე სიტყვით შეეხოთ ამ აშბებს, რომლებიც მიმდინარე წლის იანვრის არჩევნების წინ მოხდა საფრანგეთში.

გასული წლის 29 ნოემბერს ედგარ ფორის მთავრობა, რომელსაც ეროვნულმა კრებამ უნდობლობა გამოუცხადა, გადადგა. ფორის მთავრობის გადადგომის მთავარი მიზეზი იყო შემდეგი: ჯერ-ერთი, მენდეს-ფრანსის მთავრობის გადადგომის შემდეგ ედგარ ფორის მთავრობამ მიაღწია საფრანგეთის პარლამენტის მიერ ფრანგი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო პარიზის შეთანხმებათა რატიფიცირებას; მეორე, მაროკოს პრობლემის გადაჭრა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გადაიქცა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში; მესამე, მშრომელ მასებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ედგარ ფორის მთავრობის მიერ თადარიგის კონტინგენტის ჯარში გაწვევამ ალჟირსა და მაროკოში გასაგზავნად; საფრანგეთში დაიწყო მოძრაობა მთავრობის ამ ღონისძიების წინააღმდეგ. ჯარისკაცები უარს ამბობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში წასვლაზე; მეოთხე, გასული წლის 23 ოქტომბერს საარის მოსახლეობამ უარყო ე. წ. „ევროპის სტატუტი“, რაც იმას ნიშნავდა, რომ პარიზის შეთანხმებათა ერთ-ერთმა ნაწილმა უკვე კრახი განიცადა და, მასასადამე, დამარცხდა საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხში; მეხუთე, საფრანგეთმა დაკარგა თავისი პოზიციები სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ასაარგებლოდ; მეექვსე, კიდევ უფრო აშკარა გახდა ამერიკისა და ინგლისის მიერ საფრანგეთის ინტერესების უგულებელყოფა ახლო აღმოსავლეთში და, მეშვიდე, ფრანგი ხალხის ფართო მასების უკმაყოფილებათ შეხვდნენ ედგარ ფორის უარს მოსკოვში გამგზავრებაზე.

მთავრობის მთელი პოლიტიკა ეროვნულ კრებაში მსჯელობის საგანი რომ არ გამხდარიყო და ამ გზით იგი ქვეყნის ფართო მასებს არ გაეგოთ, ედგარ ფორმა დააყენა საკითხი ეროვნული კრების უფლებამოსილების ექვსი თვით ადრე შეწყვეტის შესახებ. ამასთანავე დაისვა საკითხი პარლამენტის ახალი არჩევნებისა და საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ. რადიკალური პარტიის მენდეს-ფრანსის ჯგუფმა მოითხოვა 1951 წლის საარჩევნო სისტემის შეცვლა საარჩევნო ოლქების დაქუცმაცების გზით. ამ საკითხმა ხანგრძლივი დავა გამოიწვია პარლამენტში.

მაშინ ედგარ ფორმა პირდაპირ დააყენა საკითხი: ან ვიდაზე ადრე არჩევნები ან მთავრობის კრიზისი. ფორის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ხელი შეეშალა მენდეს-ფრანსის კოალიციის შექმნისათვის და მისი წარმატებისათვის მომავალ არჩევნებში. აქაც ჯარიანობა ემარცხენე და მემარჯვენე რადიკალებს შორის საბოლოო განხეთქილება. საკითხი გადაწყდა ფორის საწინააღმდეგოდ. ეროვნულმა კრებამ 318 ხმის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას.

რადიკალურ პარტიაში განხეთქილების შემდეგ რადიკალების უმრავლესობა მენდეს-ფრანსის მეთაურობით არჩევნების დროს გაერთიანდა სოციალისტებთან. ისინი გამოვიდნენ ერთიანი პროგრამით, შექმნეს „რესპუბლიკური ფრონტი“. მათ შეუერთდა სოციალური რესპუბლიკელებისა და წინააღმდეგობის დემოკრატიული და რესპუბლიკური კავშირის (იუდსრ) ნაწილი. ედგარ ფორი და მისი მომხრეები გარიცხულ იქნენ რადიკალური პარტიიდან.

ახლა საჭირო იყო ეროვნული კრების დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა. საფრანგეთის კონსტიტუციის 51-ე მუხლის თანახმად ეროვნული კრება შეიძლება პრეზიდენტის დეკრეტით დათხოვნილ იქნას, თუ ეროვნული კრება სულ ცოტა 18 თვის განმავლობაში კონსტიტუციური უმრავლესობით (312 ხმა) ორჯერ გამოუცხადებს უნდობლობას მთავრობას. ასეთ შემთხვევაში მთავრობა დროებით რჩება ხელისუფლების სათავეში და მან უნდა ჩაატაროს ახალი არჩევნები პარლამენტის დათხოვნის დღიდან არაუადრეს 20 დღისა და არაუგვიანეს 30 დღისა.

1955 წლის 5 თებერვალს, ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციური უმრავლესობით (319 ხმით) უნდობლობა გამოუცხადა მენდეს-ფრანსის მთავრობას, ხოლო მეორეჯერ — იმავე წლის 29 ნოემბერს ედგარ ფორის მთავრობას. მაშასადამე, კონსტიტუციის 51-ე მუხლის თანახმად შესაძლებელი იყო პარლამენტის დათხოვნა. საფრანგეთის პრეზიდენტის დეკრეტით პარლამენტი დათხოვნილ იქნა და ახალი არჩევნები დაინიშნა 1956 წლის 2 იანვარს.

მიმდინარე წლის იანვრის არჩევნებმა ცხადყო, რომ საფრანგეთის მშრომელ მასებში განუწყვეტლივ იზრდება უკმაყოფილება და საარჩევნო ბლანკებზე ეროვნული ფრონტის „ერთიანი“ ბლოკ-ფრონტ-ელ-ეფ-ეს-ეს-ეს